ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 315

"15" აგვისტო 2017 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ცაიშის ქუჩა №36-ში (საკადასტრო კოდი: №01.16.03.010.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და დაინტერესებულ პირებთან გასაფორმებელი შესაბამისი ხელშეკრულებების პროექტის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" პუნქტის, 118[1] მუხლის პირველი პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, ცაიშის ქუჩა №36-ში (საკადასტრო კოდი: №01.16.03.010.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის და დაინტერესებულ პირებთან გასაფორმებელი შესაბამისი ხელშეკრულებების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 19 ივლისის №26.24.533 განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილ ნუსხაში გათვალისწინებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე, აღნიშნულ ნუსხაში მითითებულ პირებთან გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი 2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი

დანართი 1

№	სახელი, გვარი	პირადი №	სართული	ფართობი	საკადასტრო კოდი	შენიშვნა: ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია
1	ნათია ლემონჯავა	48001007589	I	65.52	01.16.03.010.009.02.500	რეგისტრაცია ნხოროწყუში, ს. ზუმი, მე-9 ქ. №39
2	დიანა ჯოლოხავა	51001002789	I	72.7	01.16.03.010.009.02.501	
3	თათია ჯოლოხაეა	51001029258	I	67.5	01.16.03.010.009.02.502	
4	დარეჯან გეილია	51001009421	I	100.69	01.16.03.010.009.02.503	საკუთრება ჯვარში (67კვ.მ)ს/კ:14.35.071.01.012
5	მირანდა იმნაძე	26001028305	I	38.64	01.16.03.010.009.03.500	
6	ციური მახარეიშვილი	60001099139	I	70.94	01.16.03.010.009.03.501	რეგისტრაცია ქუთაისში
7	ხათუნა მეგრელიშვილი	01019047431	I	119.31	01.16.03.010.009.03.502	
8	იეანე მენაბდე	01030044795	I	66.9	01.16.03.010.009.03.503	
9	რევაზ გაბედაეა	33001002868	I	80.82	01.16.03.010.009.05.500	
10	დარეჯან გვილია	51001009421	I	8.89	01.16.03.010.009.06.500	საკუთრება ჯვარში (67კვ.მ)ს/კ:14.35.071.01.012
11	ეალერიანი ზედელაშვილი	40001035944	I	83.42	01.16.03.010.009.07.500	
12	ვასილ წიკლაური	01105048546	II	74.36	01.16.03.010.009.07.502	
13	გოგა ალანია	58001028361	II	85.03	01.16.03.010.009.01.513	
14	თამარი ყანჩაშვილი	40001035188	II	47.64	01.16.03.010.009.01.514	
15	ელისო გეადიბაძე	60001155216	II	14.43	01.16.03.010.009.01.516	
16	ელისო გვადიბაძე	60001155216	II	16.71	01.16.03.010.009.01.517	
17	ზურიკო ჩიქოეანი	51001003994	II	47.42	01.16.03.010.009.01.518	

18	ლია კეაჭახელიძე	26001002093	II	17.52	01.16.03.010.009.01.519	
19	ცირა ბერია	01017054285	II	18.5	01.16.03.010.009.01.520	
20	ეკა აქუბარდია	51001025585	I	49.84	01.16.03.010.009.01.501	
21	მზიური მწყერაძე	43001012207	I	41.72	01.16.03.010.009.01.502	
22	ნანა ფარცხალაძე	55001012192	I	25.83	01.16.03.010.009.01.504	
23	რუსუდან ჩიქოვანი	51001003883	I	36.97	01.16.03.010.009.01.505	
24	ნანა ფარცხალაძე	55001012192	I	40.67	01.16.03.010.009.01.506	
25	ლევან კაპანაძე	01005027855	I	22.43	01.16.03.010.009.01.507	რეგისტრაცია კ. მარჯანიშვილის ქ. №40, საკუთრება: თეთრიწყარო, ორბეთი (მიწის ნაკვეთი)
26	ციალა გვაზავა	29001007414	I	36.78	01.16.03.010.009.01.511	
27	ელისო გვადიბაძე	60001155216	I	31.59	01.16.03.010.009.09.500	
28	ნოდარ ქათამაძე	01405049501	I	41.76	01.16.03.010.009.09.501	

დანართი 2
პროექტი

ხელშეკრულება
უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ

ქ. თბილისი

---------- 2017 წ.

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები და ხელშეკრულების მიზანი

1.1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 118[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ---------- განკარგულების და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ---------- განკარგულების საფუძველზე, ჩვენ, ხელშეკრულების მხარეები: ერთის მხრივ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - სსიპ ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში „სააგენტო“, მის. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7, წარმოდგენილი ———— მიერ - პ/ნ: №————) და მეორეს მხრივ, ---------- (შემდგომში „ქონების შემძენი“ , პ/ნ: ----------, მის: ————————————————), ვაფორმებთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1.2. ამ ხელშეკრულებით, სააგენტო საკუთრებაში გადასცემს ქონების შემძენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებას: ---------- კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №----------)

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია საჯარო რეესტრიდან ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: №---------- – მომზადების თარიღი ----------

მუხლი 2. საპრივატიზებო საფასური, მისი გადახდის წესი და გადახდის პირობები

2.1. ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა სიმბოლური თანხა - 1 (ერთი) ლარი.

2.2. საპრივატიზებო საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში.

2.3. საპრივატიზებო საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით:
მიმღები: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22
სახაზინო კოდი: 300773313
დანიშნულება: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობების გაყიდვიდან

მუხლი 3. საკუთრების უფლების გადაცემა

ქონების შემძენს ხელშეკრულებით გადაცემულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება გადაეცემა საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. მისი საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით, ამ ხელშეკრულების გარდა, სარეგისტრაციო სამსახურს უნდა წარედგინოს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

მუხლი 4. მხარეთა განცხადებები და ვალდებულებები

4.1. სააგენტო აცხადებს, რომ ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული უძრავი ქონება ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას. უფლებრივად უნაკლოა, ქონება არ არის იპოთეკით დატვირთული, არ არის დაყადაღებული.

4.2. ხელშეკრულების მხარეები აცხადებენ, რომ ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული უძრავი ქონების ხარისხი შეთანხმებულია მათ შორის.

4.3 სააგენტო ვალდებულია, საპრივატიზებო საფასურის გადახდის დადასტურების შემდგომ, დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით გასცეს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა ქონების შემძენისთვის გადაცემულ ქონებაზე.

4.4. ქონების შემძენი ვალდებულია, უზრუნველყოს შეძენილ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემისთანავე, გონივრულ ვადაში.

4.5. ქონების შემძენი ვალდებულია, საკუთრებაში გადაცემული ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.
4.6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან დარღვევის შემთხვევაში, კომპანია სააგენტოსგან იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და ეკისრება მე-5 მუხლით განსაზღვრული პირგასამტეხლო.
4.7. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების განმეორებით შეუსრულებლობა და/ან დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა, სააგენტოს მიერ განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძვლად.
4.8. ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებით პრივატიზებული უძრავი ქონება ბრუნდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში. ამასთან, ქონების შემძენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ არ აუნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული ხარჯები.

მუხლი 5. პირგასამტეხლო

5.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში ქონების შემძენს ეკისრება პირგასამტეხლო (საურავი).
5.2. საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლო განისაზღვრება გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არანაკლებ 5 ლარისა. პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება საპრივატიზებო საფასურის შესაბამის პერიოდში გადასახდელი ნაწილის სრულ გადახდამდე.
5.3. პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს თანხის შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით:
მიმღები სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22
სახაზინო კოდი: 300773287
(შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან).

მუხლი 6. მხარეთა შორის ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება

მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. სხვა პირობები

7.1. ხელშეკრულების ყველა გვერდი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა მიერ.
7.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.
7.3. ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი წარედგინება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურს (მარეგისტრირებელ ორგანოს). დანარჩენი გადაეცემა მხარეებს.
7.4. ხელშეკრულებით გადაცემულ უძრავ ქონებაზე ქონების შემძენის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით, სავალდებულოა, სსიპ -საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, ხელშეკრულების გარდა ასევე წარედგინოს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.
7.5. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება შეიძლება მხარეთა შეთანხმებით.
7.6. მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს შესაბამისი იურისდიქციის მქონე სასამართლოს.

სსიპ - ქონების მართვის სააგენტო